

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	10
სრული შემოსავლის ანგარიშგება	11
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	12
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	13
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1 ზოგადი ინფორმაცია	14
2 მომზადების საფუძვლები და ახალი ფასს-ების მიღება	14
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	17
4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	17
5 ძირითადი საშუალებები	23
6 არამატერიალური აქტივები	24
7 მარაგები	24
8 საკუთარი კაპიტალი	24
9 დაუმთავრებელი წარმოება	25
10 გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები	25
11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25
12 ფული და ფულის ექვივალენტები	26
13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
14 ამონაგები	26
15 თვითღირებულება	26
16 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	26
17 საპროცენტო შემოსავალი	27
18 სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	27
19 სხვა არასაოპერაციო ხარჯი	28
20 მოგების გადასახადის ხარჯი/სარგებელი	28
21 ფულადი ნაკადების ანგარიშგება (არაპირდაპირი)	28
22 პირობითი ვალდებულებები	29
23 რისკების მართვა	29
24 დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები	31
25 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	32
26 მმართველობითი ანგარიში	33

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ ხელმძღვანელობას

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ჩვენ განვახორციელეთ შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ (შემდეგში - კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან (ბალანსი) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; იმავე პერიოდის სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგებისაგან; საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისაგან და ამავე წელს დასრულებული თარიღისათვის, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისაგან, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისაგან, არ გავაჩნია არანაირი დაინტერესება აუდიტის შედეგის მიმართ. ვმოქმედებდით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და ვითვალისწინებთ IESBA კოდექსით მოთხოვნილ სხვა ეთიკური ვალდებულებებსაც.

მიგვაჩნია, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორის მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ((IFRS)) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აღნიშნული პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან (ბალანსი) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; იმავე პერიოდის სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგებისაგან; საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისაგან და ამავე წელს დასრულებული თარიღისათვის, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისაგან, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობა და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან.

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს აუდიტორული დასკვნის გაკეთებისათვის

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ორგანიზაცია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზაციის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მიგვაჩნია, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორის მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი მოიცავს პერიოდს 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი შეეხება აღნიშნულ პერიოდს.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მოთხოვნათა გათვალისწინებით.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ძირითადი საშუალებები

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებების ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენდა 10,035,777 ლარს, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ნარჩენმა საბალანსო ღირებულებამ 8,706,514 ლარი შეადგინა. შევნიშნავთ, რომ ჯერ კიდევ 2014 წელს კომპანიის მიერ განხორციელებულია გადაფასება ძირითადი საშუალებების გარკვეულ ნაწილზე (რომელთა ნარჩენი საბალანსო ღირებულება გადაფასების თარიღისთვის 1,470,690 ლარს შეადგენდა). იმ პერიოდისათვის გადაფასებამ მოიცვა მანქანა-დანადგარების, შენობა-ნაგებობების, ოფისის აღჭურვილობის და სატრანსპორტო საშუალებების ჯგუფის ნაწილი. შედეგად, მიმდინარე სააუდიტო პერიოდის დასაწყისისათვის, აღნიშნულ ჯგუფებში შემავალი ძირითადი საშუალებების საერთო ღირებულებიდან - 9,249,949 ლარიდან 908,878 ლარის აქტივები ასახულია გადაფასებული ღირებულებით, დანარჩენი 8,341,071 ლარის აქტივები კი თვითღირებულებით. გამომდინარე აღნიშნულიდან, სამშენებლო კომპანიის ბალანსზე ძირითად საშუალებათა მნიშვნელოვანი ნაწილი ასახულია თვითღირებულებით, ხოლო ნაწილი კი გადაფასებული ღირებულებით.

გამომდინარე აღნიშნულიდან, კომპანიას ერთი და იგივე ჯგუფში შემავალი ძირითადი საშუალებების აღრიცხვისთვის გამოყენებული აქვს როგორც გადაფასების, ისე თვითღირებულების მოდელი.

2018 წლის ბოლოს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად, კომპანიის 656,452 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების მქონე აქტივებს მინიჭებული აქვთ სტატუსი „სარემონტო“, ან „ჩამოსაწერი“, რაც ბასს 36-ის შესაბამისად, წარმოადგენს გაუფასურების ინდიკატორს, შესაბამისად, არსებობს იმის ალბათობა, რომ აღნიშნული აქტივების რეალური ღირებულება ნაკლები იყოს მათ საბალანსო ღირებულებაზე.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური მარაგების საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 13,124,669 ლარს, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მან 9,241,711 ლარი შეადგინა. კომპანიის 2018 წლის 4 დეკემბრის #1944 ბრძანებით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ კომპანიაში ჩატარებულ იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია 2018 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული ინვენტარიზაციის შედეგებიდან გამომდინარე ინვენტარიზაციას დაექვემდებარა 9,051,754 ლარის (98%) სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ხოლო ინვენტარიზაცია ვერ ჩატარდა 190,064 ლარის სასაქონლო-მატერიალური მარაგებზე [მიღებული განმარტებით ტექნიკური სირთულეთა გამო - გეოგრაფიული არეალი, კლიმატური პირობები

(შეზღუდული სატრანსპორტო გადაადგილება)]. შესაბამისად, ინვენტარიზაციით მასალებში ასახვა ვერ ჰპოვა 190,064 ლარის სასაქონლო-მატერიალური მარაგებმა, რაც მთლიანი მოცულობის 2% შეადგენს, შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით კომპანიის ბალანსზე 2018 წლის 31 დეკემბრისთვის რიცხული 190,064 ლარის სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებობაში, სისრულესა და სისწორეში. თუმცა, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტით გათვალისწინებული არსებითობის კონცეფციის მხედველობაში მიღებით, არაინვენტარიზებული (190,064 ლარის) სასაქონლო-მატერიალურ მარაგები, რაც კომპანიაზე რიცხული (9,051,754 ლარის) სასაქონლო-მატერიალურ მარაგებთან მიმართებაში, შეადგენს 2 %, რაც არსებითად არ იქნა შეფასებული.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშზე 2018 წლის დასაწყისსა და ბოლოსათვის რიცხული ნაშთის საერთო მოცულობიდან 5,700,298 ლარი (მთლიანი საწყისი და საბოლოო ნაშთების შესაბამისად 56% და 51%) მოდის შპს „ნიუ ენერჯის“ დავალიანებაზე, რომელიც წარმოშობილია 2012 წელს. ამ ორგანიზაციის მიმართ მიმდინარეობს გადახდისუნარობის საქმისწარმოება. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 13 მარტის საოქმო განჩინების საფუძველზე, კომპანია აღნიშნულ დავალიანებაზე კრედიტორთა რეესტრში შეყვანილია მე-6 რიგის კრედიტორად. გამომდინარე აღნიშნული გარემოებებიდან, ზემომითითებული დავალიანების თანხის ამოღებისა და აგრეთვე აქტივთან დაკავშირებული სარგებლის მიღების ალბათობაც დაბალია, შესაბამისად, არ არსებობს რწმუნება იმისა, რომ მოხდება დებიტორული დავალიანების დაფარვა.

აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, კომპანიის ბალანსზე აღრიცხული სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საერთო მოცულობაში 5,700,298 ლარის დავალიანების თანხა მის აქტივად აღიარების კრიტერიუმებთან შესაბამისობაში ვერ მოდის. აღნიშნული თანხის გადატანა შესაძლებელია განხორციელდეს დამფუძნებელთან შეთანხმებით ბალანსგარეშე/საცნობარო ანგარიშზე, კაპიტალის მუხლის შესაბამისი შემცირებით საწესდებო კაპიტალის ანგარიშზე გატარებით.

სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები

სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება

კომპანიაში სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხორციელდება კლიენტთან შუალედური ან/და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, თუმცა რიგ შემთხვევებში აქტებით განსაზღვრული სამუშაოების ღირებულება ვერ ასახავს რეალურ მაჩვენებელს, რადგან ღირებულება დაფუძნებულია ხელშეკრულების გაფორმებისას შედგენილ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე, ხოლო შემდგომში კონტრაქტის შესრულებისთვის ფაქტობრივად გაწეული ხარჯები განსხვავებულია სახარჯთაღრიცხვო მონაცემებისგან კომპანიის მიერ სხვაობის აღიარება ხარჯის სახით ხდება შესაბამისი პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული ამონაგების ბასს 11-ის („სამშენებლო ხელშეკრულებები“) მიხედვით აღიარება, რაც გულისხმობს საანგარიშო წლის ბოლოს კონტრაქტის შესრულების სტადიის განსაზღვრას ფაქტობრივად გაწეულ ხარჯებზე დაყრდნობით და შემდგომ, ამონაგების თანხის გაანგარიშებას, ვერ ხორციელდება, ვინაიდან სამშენებლო კონტრაქტების შედეგების საიმედოდ შეფასება, მოცემული გარემოებების გათვალისწინებით არ არის შესაძლებელი, თუმცა აღნიშნულ კონტექსტში მიუთითებთ იმავე, რომ სამშენებლო კონტრაქტები მრავალწლიანია

ხოლო უცხოური ვალუტის კურსის ზრდისა და ინფლაციის ფაქტობრივი მაჩვენებლების პროგნოზირება/შეფასება რელურად შეუძლებელია, მით უფრო იმ ფონზე რომ ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების ზღვრული ნორმები რეგულირდება მთავრობის დადგენილებით. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ #55 დადგენილებით, სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის მიერ დაქირავებული სამშენებლო მანქანა-მექანიზმებისა და ინვენტარის ქირავნობის ღირებულება შესრულებული სამუშაოების აქტი გათვალისწინებული უნდა იყოს ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების დარიცხვის. რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამონაგების ფორმირებაზე.

დაუმთავრებელი წარმოება

საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილებების (დადგენილება, განკარგულება) საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანებით, რეგულარულად ხდება კომპანიის კაპიტალის გაზრდა ფულადი სახსრებით. კომპანიის კაპიტალში შეტანილი სახელმწიფო სახსრებით განხორციელებული მშენებლობები/სამუშაოები წარმოადგენს ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ასევე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებისა და საერთო დანიშნულების გზების მშენებლობა-კეთილმოწყობაზე, ასევე სტიქიური მოვლენის დროს გაწმენდით და სალიკვიდაციო სამუშაოებზე გაწეულ ხარჯებს, რომელიც მშენებლობის/სამუშაოების დასრულებამდე აღირიცხება კომპანიის მოკლევადიან აქტივებში - დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე, ხოლო დასრულების შემდგომ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, რასაც წინ უძღვის მიმღებ სუბიექტთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, შესრულებული სამუშაოს ღირებულებით/ოდენობით (ლ.სამხარაულის სახელობის ექსპერიზის ბიუროს დასკვნით დადასტურებული) მცირდება კომპანიის კაპიტალი.

კომპანიის საბალანსო მონაცემების გაცნობით ჩანს, რომ დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშის ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 64,534,468 ლარს, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი მან 71,776,594 ლარი შეადგინა. ირკვევა, რომ რიგ შემთხვევებში, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოები უკვე დასრულებულია, მათი სათანადო წესით ჩაბარება და შესაბამისი ღირებულებით კაპიტალის შემცირება რიგ შემთხვევებში ჭიანურდება. შედეგად, ასეთ სამუშაოთა ღირებულებები კომპანიას კვლავ დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე ერიცხება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრობლემის მოგვარებასთან მიმართებაში, კომპანიის მიერ განხორციელებულია არაერთგზისი მცდელობა (შესაბამის მუნიციპალიტეტებთან წერილობითი კომუნიკაცია, ასევე პარტნიორ სამინისტროსთან თხოვნის წერილები), რასაც საპასუხო ქმედითი რეაგირება არ მოჰყოლია. აღნიშნული გარემოების გამო, 2018 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე ბალანსით ირიცხება 16,424,485 და 16,422,897 ლარის ღირებულების უკვე დასრულებული ობიექტები.

დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე რიცხული მოკლევადიანი აქტივები, გრძელვადიან პერსპექტივაში, შემდგომ საანგარიშო პერიოდებში, ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, ვინაიდან კომპანიას არ გააჩნია მათზე კონტროლი, ასევე მათგან ვერ მიიღება რაიმე სახის ეკონომიკური სარგებელი. თუმცა ამ კუთხით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათი აქტივებიდან ამოღება შესაბამისად საწესდებო კაპიტალის ანგარიშის შემცირებასთან იქნება დაკავშირებული (რადგან აღნიშნული პროექტები განხორციელებულია საწესდებო კაპიტალში ფულადი შენატანებით), რაც შესაძლებელია განხორციელდეს დამფუძნებლის მიერ სათანადო ღონისძიებების გატარებით.

ასევე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზემომითითებული გადაწყვეტილების და სათანაო ორგანიზაციული ღონისძიებების გატარებამდე, ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, კომპანია საწესდებო კაპიტალში ფულადი შენატანებით განხორციელებულ საამშენებლო სარემონტო სამუშაოებს ასახავს დუმთავრებული წარმოების ანგარიშზე.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ანგარიშზე 2018 წლის ბოლოსათვის რიცხული 4,468,380 ლარის ნაშთიდან 70,615 ლარი წარმოადგენს 2016 წლამდე წარმოშობილი კრედიტორულ დავალიანებებს, რომლის გადახდის ვალდებულება კომპანიას ხანდაზმულობის ვადის გამო არ გააჩნია, შესაბამისად აღნიშნული დავალიანებები რომლებიც აკმაყოფილებენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ, დავალიანებათა ხანდაზმულობის ვადის კრიტერიუმებს, კლასიფიცირდება არასაოპერაციო შემოსავლების სახით.

სხვა ინფორმაცია, რომელიც ასახულია კომპანიის მმართველობით ანგარიშგებაში

დამოუკიდებელი მარწმუნებელი ანგარიში

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია შპს „სახელმწიფო საამშენებლო კომპანი“-ის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის, შესაბამისად მომზადებული, 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგების დამოუკიდებელი დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს, კანონის შესაბამისად ასევე შიდა კონტროლზე რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების სფერო

ჩვენი პასუხისმგებლობაა დასაბუთებული მარწმუნებელი გარიგების საფუძველზე გამოვთქვით მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე ჩვენ ჩავატარეთ გარიგება, მარწმუნებელი გარიგებებისათვის ნებადართული მარწმუნებელი გარიგებების, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (მგსს) 3000 (გადასინჯული) ფირმა იყენებს. ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს (ხკსს) 1-ს და შესაბამისად გააჩნია, ხარისხის კონტროლის კომპლექსური სისტემა მათ შორის დოკუმენტირებული პოლიტიკა, და პროცედურები რომლებიც ეხება ეთიკური

ნორმების პროფესიული სტანდარტებისა და შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვას.

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული და სხვა ეთიკური ნორმები, რომლებიც დაფუძნებულია პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალობისა და პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებზე.

ჩვენ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აქამდე ჩავატარეთ კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გამოვთქვით პორობითი მოსაზრება 2018 წლის 25 სექტემბერს. 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს, ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ მოვლენების გავლენას.

მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი ის მოვლენები რომლებიც მოხდა ფინანსურ, ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ჩვენ პროფესიული განსჯის საფუძველზე შევარჩიეთ და განვახორციელეთ პროცედურები, როგორიცაა გამოკითხვა ანალიზი და დოკუმენტაციის გადახედავა კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების მეთოდოლოგიებისა და წარდგენილი ინფორმაციის შედარება „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, ასევე განვახორციელეთ რაოდენობრივი და სხვა მონაცემების გადათვლა შედარება და შეჯერება.

მოსაზრება

ჩვენი აზრით:

2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულია „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია თანხვდენილია 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

შპს „კომპაუდის“ სახელით (რეგ. № SARAS-F-519441)

გარიგების პარტნიორი

ნუგზარ ხიჯაკაძე (რეგ. № SARAS-A 859265)

აუდიტორ პარტნიორი

ვალერი აბრალავა (რეგ. № SARAS-A 814430)

ჩვენ დავიცავით ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) მიერ გამოცემული პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით განსაზღვრული, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული და სხვა ეთიკური ნორმები, რომლებიც დაფუძნებულია პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალობისა და პროფესიული ქცევის ძირითად პრინციპებზე.

ჩვენ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აქამდე ჩავატარეთ კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გამოვთქვით პორობითი მოსაზრება 2018 წლის 25 სექტემბერს. 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს, ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ მოვლენების გავლენას.

მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი ის მოვლენები რომლებიც მოხდა ფინანსურ, ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გამოცემული დასკვნის თარიღის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ჩვენ პროფესიული განსჯის საფუძველზე შევარჩიეთ და განვახორციელეთ პროცედურები, როგორიცაა გამოკითხვა ანალიზი და დოკუმენტაციის გადახედვა კომპანიის პოლიტიკების, პროცედურების მეთოდოლოგიებისა და წარდგენილი ინფორმაციის შედარება „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, ასევე განვახორციელეთ რაოდენობრივი და სხვა მონაცემების გადათვლა შედარება და შეჯერება.

მოსაზრება

ჩვენი აზრით:

2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახულია „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია თანხვედნილია 2018 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

შპს „კომპაუდის“ სახელით (რეგ. № SARAS-F-519441)

გარიგების პარტნიორი

ნუგზარ ხიჯაკაძე (რეგ. № SARAS-A 859265)

აუდიტორ პარტნიორი

ვალერი აბრალავა (რეგ. № SARAS-A 814430)



შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

ლარი

აქტივები	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	1,707,243	17,132,383
გადახდილი ავანსები	10	873,105	653,326
მიმდინარე მარაგები	7	9,241,711	13,124,669
სავაჭრო მოთხოვნები	10	9,733,846	10,083,980
სხვა საგადასახადო აქტივი	10	363,482	2,818,527
სხვა მიმდინარე აქტივები	8	71,776,702	64,685,010
სხვა გრძელვადიანი აქტივები	10	99,553	
სხვა არამატერიალური აქტივები	6	19,807	44,205
ძირითადი საშუალებები	5	8,706,514	10,035,777
გასაყიდად გამოზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები	9	827,034	1,534,068
სულ აქტივები		103,348,996	120,111,945
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	13	4,468,380	2,316,497
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13	2,139,961	24,031,024
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	13	33,434	199,302
სულ ვალდებულებები		6,641,775	26,546,823
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		142,209,981	132,154,494
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		1,386,463	1,386,463
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		(46,889,223)	(39,975,835)
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი		96,707,221	93,565,122
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		103,348,996	120,111,945

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის წინამდებარე აუდიტორული შემოწმების შედეგად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 25 მაისი შემდეგი პირების მიერ:

დირექტორის მ/მ _____

შალვა შავიშვილი

ფინანსური მენეჯერი _____

გიორგი ჩოჩია

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

ლარი

აქტივები	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	1,707,243	17,132,383
გადახდილი ავანსები	10	873,105	653,326
მიმდინარე მარაგები	7	9,241,711	13,124,669
სავაჭრო მოთხოვნები	10	9,733,846	10,083,980
სხვა საგადასახადო აქტივი	10	363,482	2,818,527
სხვა მიმდინარე აქტივები	8	71,776,702	64,685,010
სხვა გრძელვადიანი აქტივები	10	99,553	
სხვა არამატერიალური აქტივები	6	19,807	44,205
ძირითადი საშუალებები	5	8,706,514	10,035,777
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები	9	827,034	1,534,068
სულ აქტივები		103,348,996	120,111,945
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	13	4,468,380	2,316,497
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13	2,139,961	24,031,024
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	13	33,434	199,302
სულ ვალდებულებები		6,641,775	26,546,823
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		142,209,981	132,154,494
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		1,386,463	1,386,463
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		(46,889,223)	(39,975,835)
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი		96,707,221	93,565,122
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		103,348,996	120,111,945

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის წინამდებარე აუდიტორული შემოწმების შედეგად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 25 მაისი შემდეგი პირების მიერ:

დირექტორის მ/მ

ფინანსური მენეჯერი





შალვა შავიშვილი

გიორგი ჩოჩია

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2018 წლის 31 დეკემბერს (ქართულ ლარში)

დასახელება	შენიშვნა	ლარი	
		2018წ	2017წ
ამონაგები		43,844,146	19,742,016
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(48,823,427)	(23,300,902)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	16	(1,212,474)	(1,341,767)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	16	(53,492)	(61,082)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	16	(95,212)	(136,304)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	16	(37,981)	(41,285)
იჯარის ხარჯი	16	(81,700)	(121,673)
ცვეთა და ამორტიზაცია	16	(258,695)	(272,290)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	16	(74,398)	(84,732)
საოპერაციო მოგება		(6,793,233)	(5,618,019)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან			(72,217)
გაუფასურების ხარჯი ძირითადი საშუალებებიდან			(449,646)
გაუფასურების ხარჯი არამატერიალური აქტივებიდან			(63,164)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ბიოლოგიური აქტივების გაყიდვიდან და გადაფასებიდან			297
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება სხვა აქტივებზე			91,322
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) შვილობილი, მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების გაყიდვიდან			(7,044)
სხვა ფინანსური შემოსავალი	18	205,027	
სხვა ფინანსური ხარჯი		(3,923)	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	19	(320,125)	19,880
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(6,912,254)	(6,098,591)
მოგების გადასახადი	20	(1,134)	(11,589)
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		(6,913,388)	(6,110,180)
შეწყვეტილი ოპერაციები			
მოგება/(ზარალი)		(6,913,388)	(6,110,180)

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის წინამდებარე აუდიტორული შემოწმების შედეგად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 25 მაისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორის მ/მ _____

შალვა შავიშვილი

ფინანსური მენეჯერი _____

გიორგი ჩოჩია

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2018 წლის 31 დეკემბერს (ქართულ ლარში)

ლარი

დასახელება	შენიშვნა	2018წ	2017წ
ამონაგები		43,844,146	19,742,016
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(48,823,427)	(23,300,902)
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	16	(1,212,474)	(1,341,767)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	16	(53,492)	(61,082)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	16	(95,212)	(136,304)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	16	(37,981)	(41,285)
იჯარის ხარჯი	16	(81,700)	(121,673)
ცვეთა და ამორტიზაცია	16	(258,695)	(272,290)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	16	(74,398)	(84,732)
საოპერაციო მოგება		(6,793,233)	(5,618,019)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან			(72,217)
გაუფასურების ხარჯი ძირითადი საშუალებებიდან			(449,646)
გაუფასურების ხარჯი არამატერიალური აქტივებიდან			(63,164)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ბიოლოგიური აქტივების გაყიდვიდან და გადაფასებიდან			297
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება სხვა აქტივებზე			91,322
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) შვილობილი, მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების გაყიდვიდან			(7,044)
სხვა ფინანსური შემოსავალი	18	205,027	
სხვა ფინანსური ხარჯი		(3,923)	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	19	(320,125)	19,880
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(6,912,254)	(6,098,591)
მოგების გადასახადი	20	(1,134)	(11,589)
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		(6,913,388)	(6,110,180)
შეწყვეტილი ოპერაციები			
მოგება/(ზარალი)		(6,913,388)	(6,110,180)

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის წინამდებარე აუდიტორული შემოწმების შედეგად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 25 მაისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორის მ/მ

ფინანსური მენეჯერი





შალვა შავიშვილი

გიორგი ჩოჩია

„სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებ.

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა
 2018 წლის 31 დეკემბერს (ქართულ ლარში)

დასახელება	ნაშთი 31.12.2018	სადებუტო ბრუნვა	საკრედიტო ბრუნვა	ლარი
				ნაშთი 31.12.2017
საწესდებო კაპიტალი	142,209,981	10,061,765	(6,278)	132,154,494
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	1,386,463	-	-	1,386,463
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(46,889,223)	-	(6,913,388)	(39,975,835)
სულ	96,707,221	10,061,765	(6,919,666)	93,565,122

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის წინამდებარე
 აუდიტორული შემოწმების შედეგად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის
 მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 25 მაისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორის მ/მ _____ შალვა შავიშვილი

ფინანსური მენეჯერი _____ გიორგი ჩოჩია


**„სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებ.**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2018 წლის 31 დეკემბერს (ქართულ ლარში)

დასახელება	ნაშთი 31.12.2018	სადებუტო ბრუნვა	საკრედიტო ბრუნვა	ლარი
				ნაშთი 31.12.2017
საწესდებო კაპიტალი	142,209,981	10,061,765	(6,278)	132,154,494
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	1,386,463	-	-	1,386,463
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(46,889,223)	-	(6,913,388)	(39,975,835)
სულ	96,707,221	10,061,765	(6,919,666)	93,565,122

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის წინამდებარე
აუდიტორული შემოწმების შედეგად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის
მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 25 მაისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორის მ/მ



მალვა შავიშვილი

ფინანსური მენეჯერი



გიორგი ჩოჩია



შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა
 2018 წლის 31 დეკემბერს (ქართულ ლარში)

ლარი

დასახელება	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	21	(26,003,004)	5,921,080
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		578,667	52,542
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		10,000,000	10,000,000
სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(803)	399
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(15,425,140)	15,974,021
ფული და ფულის ეკვივალენტების წლის დასაწყისში		17,132,383	1,158,362
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		1,707,243	17,132,383

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის წინამდებარე აუდიტორული შემოწმების შედეგად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 25 მაისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორის მ/მ _____

შალვა შავიშვილი

ფინანსური მენეჯერი _____

გიორგი ჩოჩია

**შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2018 წლის 31 დეკემბერს (ქართულ ლარში)

		ლარი	
დასახელება	პენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	21	(26,003,004)	5,921,080
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		578,667	52,542
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		10,000,000	10,000,000
სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(803)	399
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(15,425,140)	15,974,021
ფული და ფულის ეკვივალენტების წლის დასაწყისში		17,132,383	1,158,362
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		1,707,243	17,132,383

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის წინამდებარე
აუდიტორული შემოწმების შედეგად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის
მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 25 მაისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორის მ/მ

ფინანსური მენეჯერი

_____ შალვა შავიშვილი
_____ გიორგი ჩოჩია



ახსნა განმარტებითი შენიშვნები

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ წარმოადგენს სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოს, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 16 მარტის ბრძანების² საფუძველზე. დაფუძნების მომენტიდან საწარმოს დასახელება იყო შპს „საგზაო ტექნიკა“. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის N978 განკარგულების შესაბამისად კომპანიის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი მართვის უფლებით გადაეცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. 2012 წელს გამოცემული ბრძანების³ საფუძველზე კომპანიის სახელი შეიცვალა და ის ოპერირებს როგორც შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“.

2011 წლამდე კომპანიას შეერწყა შპს „მელიორატორი XXI“ და შპს „საავტომობილო გზების მექანიზაციის სამმართველო“, ხოლო 2013 წლის აგვისტოში სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანების⁴ საფუძველზე კომპანიას ასევე შეერწყა შპს „ანაკლია დეველოპმენტი“.

კომპანიის ძირითადი მიზანია მოგების მიღება ნებისმიერი საქმიანობის გზით, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, საზოგადოებისა და დამფუძნებლების ინტერესებს. მის ძირითად სამეწარმეო საქმიანობას წარმოადგენს:

- სხვადასხვა ტიპის სამშენებლო პროექტების განხორციელება, მათ შორის, საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, მოდერნიზაცია, რეკონსტრუქცია და სხვა საგზაო-სამშენებლო სამუშაოების შესრულება;
- სამშენებლო და სარემონტო მასალების წარმოება, მათი იმპორტირება-ექპორტირება და რეალიზაცია
- კომპანიის ბალანსზე რიცხული სპეც-ტექნიკის საჭიროებისამებრ გამოყენება და მისი დროებით სარგებლობაში გადაცემა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2018 წლის დასაწყისში დაიწყო პროცესები, რომლებიც დაკავშირებული იყოს, როგორც კომპანიის 100% წილის მართვის ხელშეკრულების შეწყვეტასთან (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შორის) ისე კომპანიის სამომავლო სამოქმედო გეგმების ცვლილებასთან (მნიშვნელოვნად იცვლება 2018 წლის სამოქმედო გეგმა, რაც განსაზღვრული/დამტკიცებულია 2017 წელს) დაგეგმარება, განსაზღვრასთან და ა.შ.

კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ორხევის დასახლება, ახვლედიანის ქ. N21 (ნაკვეთი 41/027).

კომპანიას დირექტორია (მოვალეობის შემსრულებელი) შალვა შავიშვილი. კომპანიას მართავს დირექტორი.

2. მომზადების საფუძვლები და ახალი ფასს-ების მიღება ა) შესაბამისობის ანგარიშგება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ევროგაერთიანების მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბასს და ინტერპრეტაციების (ფასს-თან

ერთად) მიხედვით (მიღებული ფასს) და შესაბამისობაშია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ გამოშვებულ ფასს–თან.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის მენეჯმენტისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ბ) საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის ფუნქციონირების შესაძლო წყვეტის საფუძველზე, თუმცა იმის დაშვება, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში დამოკიდებულია დამფუძნებლის სურვილზე. თუ კომპანიის დამფუძნებელს სურვილი ექნება, გადაწყვეტს, რომ განავითაროს კომპანია საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის, იმ შემთხვევაში თუ დამფუძნებლის მიერ მიღებულ იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება. დამფუძნებლის შესაბამის საბოლოო გადაწყვეტილებამდე, მენეჯმენტს მიაჩნია მართებულად იმოქმედოს დამფუძნებლის შესაბამისი მითითებების საფუძველზე და სამოქმედო პრინციპები ჩამოაყალიბოს დამფუძნებლის საბოლოო, გენერალური გადაწყვეტილების საფუძველზე.

გ) სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა. ხელმძღვანელობა არ მოელოა, სხვა ახალი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“

2014 წლის მაისში გამოცემული ფასს 15, რომელშიც ცვლილებები შევიდა 2016 წლის აპრილში, ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ფასს 15 განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, ფინანსურ ინსტრუმენტებისა და იჯარის თანმდევი საპროცენტო და საკომისიო შემოსავალი გასცდება ფასს 15-ის სამოქმედო არეალს და დარეგულირდება სხვა მოქმედი სტანდარტებით (ფასს 9-ით და ფასს 16-ით „იჯარა“).

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა -

სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების იჯარისა და მოკლევადიანი იჯარის (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით) შემთხვევაში. საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ საბოლოო ვერსია, რომელიც ასახავს ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ყველა ფაზას და ჩაანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს 9-ის ყველა მანამდე არსებულ ვერსიას. სტანდარტით დამტკიცდა კლასიფიკაციისა და შეფასების, გაუფასურებისა და ჰეჯირების აღრიცხვის ახალი წესები. ფასს 9 ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შედარებადი ინფორმაციის ხელახლა წარმოდგენა სავალდებულო არ არის.

კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის თანახმად ყველა სავალო ფინანსური აქტივი, რომელიც არ აკმაყოფილებს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების“ კრიტერიუმს, კლასიფიცირებულია პირველადი აღიარებისას სამართლიანი ღირებულებით და ასახულია მოგებაში ან ზარალში (სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში). აღნიშნული კრიტერიუმის თანახმად, სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც არ შეესაბამება „საბაზისო სასესხო შეთანხმების“ განმარტებას, როგორიცაა სესხები „რეგრესის უფლების გარეშე“ ან ჩართული კონვერტაციის ოფციონის მქონე ინსტრუმენტები, ფასდება სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში. სავალო ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც

აკმაყოფილებენ „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების“ კრიტერიუმს, პირველადი აღიარებისას კლასიფიკაცია განისაზღვრება იმ ბიზნეს მოდელის საფუძველზე, რომლითაც იმართება აღნიშნული ინსტრუმენტები:

- ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების მიზნით“, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით;
- ინსტრუმენტები, რომელთა მართვის საფუძველია „ფლობა ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში;
- ინსტრუმენტები, რომელთა მართვა ხორციელდება სხვა საფუძველით, მათ შორისო სავაჭრო ფინანსური აქტივები, ფასდება სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

საკუთარ კაპიტალში შემავალი ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია აუცილებელია პირველადი აღიარებისას სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, თუ ინსტრუმენტი გამოუთხოვადად არ არის კლასიფიცირებული სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში. სხვა სრულ შემოსავალში სამართლიანი ღირებულებით კლასიფიცირებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, ყველა რეალიზებული და არარეალიზებული მოგება და ზარალი, გარდა დივიდენდის სახით შემოსვლისა, აღიარებული უნდა იქნეს სხვა სრულ შემოსავალში, მოგებაში ან ზარალში შემდგომი გადატანის გარეშე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია: ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში შეეძლო კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ვერ ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება, რადგან საბოლოო სამომავლო გეგმა არ არის განსაზღვრული, ვინაიდან მიმდინარე მოცემულობით, დამფუძნებლის გადაწყვეტილებით მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ცვლილებები, რეორგანიზაცია, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ძირითადი საშუალებების კომპანიის მიერ განკარგვასთან. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. შესაძლებელია განხორციელდეს ძირითადი საშუალებების გასხვისება/გადაცემის პროცედურა შემდგომ საანგარიშო პერიოდებში.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში ასახული ოპერაციების გადაყვანა ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ოპერაციის მოხდენის ან აქტივების/ვალდებულებების შეფასების დღისთვის არსებული გასაცვლელი კურსით. ასეთი ოპერაციებიდან, ასევე წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული მუხლების შეფასებიდან წარმოშობილი საკურსო სხვაობებიდან მიღებული მოგება და ზარალის აღიარება ხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ეფექტი აისახება კაპიტალში, როგორც ფულადი ნაკადების და წმინდა ინვესტიციის ჰეჯირება.

ფულად სახსრებთან და მათ ეკვივალენტებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობის ეფექტის წარდგენა ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში - „მოგება ან ზარალი საკურსო სხვაობებიდან“, სხვა საკურსო სხვაობებთან ერთად.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს ქვემოთ მოცემულ კატეგორიებად, შეძენილი აქტივის დანიშნულებიდან გამომდინარე. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული კატეგორიისთვის შემდეგია:

(ა) სესხები და მოთხოვნები. ეს აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯებით, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან

რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გაუფასურების რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, კონტრაგენტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები, გადახდების დაგვიანება და ა.შ.), რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა მოთხოვნის ამოღებას კონტრაგენტებისგან. ასეთი რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება უნდა შემცირდეს შესაბამისი რეზერვით.

საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავალი

შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით, რომელსაც აქვს შესაბამისი აღიარების პროცესი გავლილი.

თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საეჭვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. სხვა შემოსავალი, შესაბამის ხარჯებთან დანეტებული ფორმით, აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც ის წარმოიქმნა.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯი აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე საადრიცხო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე და/ან შესაბამისი აღიარების პროცესის გავლის შედეგად.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ მათგან მოსალოდნელი აღარ არის მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოტანა.

ხელფასების, ბონუსების და დანამატების აღრიცხვა

ხელფასების, ბონუსების და დანამატების დარიცხვა ხდება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება კომპანიას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში. **ამონაგები სამშენებლო კონტრაქტებიდან**

თუ შესაძლებელია სამშენებლო კონტრაქტების შედეგების საიმედოდ შეფასება, სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული ამონაგები და დანახარჯები უნდა აღიარდეს ამონაგებისა და ხარჯების სახით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით.

ცვლილებები კონტრაქტით გათვალისწინებულ სამუშაოებში, საპრეტენზიო თანხები და წამახალისებელი ანაზღაურებები ამონაგების თანხაში გაითვალისწინება იმ მოცულობით, რა ოდენობითაც დამკვეთისგან მოსალოდნელია აღნიშნული თანხების მიღება და შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება.

თუ შეუძლებელია სამშენებლო კონტრაქტის შედეგების საიმედოდ შეფასება, კომპანია აღიარებს ამონაგების ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია იმ საკონტრაქტო დანახარჯებთან, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელია და საკონტრაქტო დანახარჯების ხარჯებად აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ისინი განხორციელდა.

საკონტრაქტო დანახარჯების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გაწევა. თუ კომპანიის ხელმძღვანელობა მოელის რომ მთლიანი საკონტრაქტო დანახარჯები გადააჭარბებს მთლიან საკონტრაქტო ამონაგებს, მოსალოდნელი ზარალის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯად.

სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს:

ა) დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ სამშენებლო კონტრაქტთან,

ბ) დანახარჯებს, რომლებიც დამახასიათებელია სამშენებლო კონტრაქტით გათვალისწინებული საერთო საქმიანობისთვის და შესაძლებელია მისი მიკუთვნება კონკრეტულ კონტრაქტზე, და გ) ისეთ დანახარჯებს, რომლებიც დამკვეთს ერიცხება კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. აღნიშნული დანახარჯები შეიძლება შემცირდეს მოულოდნელი ამონაგების წარმოშობის შედეგად, რომელიც კონტრაქტით არ იყო გათვალისწინებული. კომპანია სამშენებლო ზედნადები დანახარჯების განაწილებას ახორციელებს სისტემატურად და რაციონალურ საფუძველზე. შერჩეული მეთოდი გამოიყენება მუდმივად ყველა ანალოგიური ტიპის დანახარჯისთვის.

ყველა იმ დაუმთავრებელი კონტრაქტისთვის, როდესაც გაწეული დანახარჯების თანხას დამატებული აღიარებული მოგების და გამოკლებული აღიარებული ზარალის თანხა აღემატება შუალედური ანგარიშების თანხის ჯამს, კომპანიას წარმოექმნება დამკვეთისგან მისაღები თანხა, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარსდგება მოკლევადიანი აქტივების ნაწილში. როდესაც შუალედური ანგარიშების თანხა აღემატება გაწეულ დანახარჯების თანხას დამატებული აღიარებული მოგება და გამოკლებული აღიარებული ზარალის თანხას, კომპანიას წარმოექმნება დამკვეთის სასარგებლოდ გადასახდელი თანხა, რომელიც ანგარიშგებაში წარსდგება მოკლევადიანი ვალდებულებების ნაწილში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება, რომელიც აკმაყოფილებს ბასს 16 „ძირითადი საშუალებები“-ს აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტიურ ხარჯებზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს მათი შესყიდვის ფასს, შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას და დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად განთავსებას.

თუ აქტივის შეძენისთვის გადახდის ვალდებულება გადავადებულია ნორმალური საკრედიტო პირობების ფარგლებში, სხვაობა მის ღირებულებასა და სრულ გადასახდელ თანხას შორის აღიარდება, როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ძირითად საშუალებებზე გაწეული შეძენის შემდგომი დანახარჯები, რომლებიც ზრდიან ძირითადი საშუალების ექსპლუატაციის ვადას ან მისგან მისაღებ ეკონომიკურ სარგებელს კაპიტალიზირდება. ყველა სხვა ხარჯი კი აისახება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შედეგი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მათი წარმოშობისთანავე.

იმის გათვალისწინებით, რომ დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, მოსალოდნელია/დაგეგმილია ძირითადი საშუალებების სხვა სუბიექტებზე გადაცემა, მათი გადაფასების და/ან სხვაგვარი „ტესტირება“, რაც მართებულია კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირების პირობებში, ამ ეტაპზე მიიჩნევა არასაჭიროდ, საჭიროება შეიძლება დადგეს შესაბამისი გადაწყვეტილების შემდეგ.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი შესაძლო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებებისთვის ჯგუფს განსაზღვრულია აქვს შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი

მომსახურების ვადა

შენობები	20-50
მანქანა-დანადგარები	2-20
სატრანსპორტო საშუალებები	3-10
ოფისის აღჭურვილობა	2-12

ვინაიდან მოსალოდნელია ძირითადი საშუალებების გასხვისება/გადაცემა, საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გადაიხედოს სასარგებლო ვადები, შესაბამისი შეფასების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია კომპიუტერული პროგრამის და ლიცენზიების სახით. იგი ბალანსში აღირიცხება თვითღირებულების და აკუმულირებული ამორტიზაციის სხვაობის თანხით.

არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები

გასაყიდად გამიზნულ აქტივებად ბალანსში წარმოდგენილია მანქანა-დანადგარები, რომლებიც 2017 წელს დაკლასიფიცირდა და შეფასდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. კლასიფიკაციის შემდგომ აღნიშნულ აქტივებზე აღარ ხდება ცვეთის დარიცხვა. რაც შეეხება 2018 წელს ძირითად საშუალებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განხორციელებული შესაბამისი გადაკვალიფიცირება.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, საგარანტიო ანგარიშზე არსებულ ნაშთებს და მოთხოვნამდე დეპოზიტებს.

სავაჭრო ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადასახდელი თანხების ღირებულებასა და მიღებული ავანსებისგან.

ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა ერთ წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა - ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთ. მშენებლობა	სხვა	სულ
01.01.2018-სათვის	741,486	1,560,488	16,538,048	826,516	385,381	43,106	1,455	20,096,480
შემოსვლა	61,765	27,327	197,680	30,075		-	-	316,848
გასვლა	-	-	204,215	151,408	12,851	-	-	368,474
31.12.2018-სათვის	803,251	1,587,815	16,531,309	703,110	372,531	43,106	1,456	20,042,578
ცვეთა 01.01.2018-სათვის	-	(373,511)	(8,831,293)	(601,309)	(254,371)	-	(218)	(10,060,702)
2018 წლის დარიცხული ცვეთა	-	(82,134)	(1,348,576)	(49,887)	(44,937)	-	(218)	(1,525,752)
გასული აქტივების ცვეთა	-	-	95,581	142,054	10,480	-	-	248,115
ცვეთა 31.12.2018-სათვის	-	(455,645)	(10,084,086)	(507,069)	(288,827)	-	(436)	(11,336,064)
ნეტო საბალანსო ღირებულება 01.01.2018	741,486	1,186,977	7,706,755	225,207	131,010	43,106	1,237	10,035,778
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2018	803,251	1,132,170	6,447,223	196,041	83,703	43,106	1,020	8,706,514

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად :

ისტორიული ღირებულება	ლიცენზიები	პროგრამები	ვებ-გვერდი	სულ
01.01.2018-სათვის	139,136	26,631	5,219	170,986
მიღება	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-
31.12.2018-სათვის	139,136	26,631	5,219	170,986
ამორტიზაცია 01.01.2018-სათვის	(117,843)	(4,762)	(4,176)	(126,781)
2018 წლის დარიცხული ამორტიზაცია	(21,293)	(3,105)	-	(24,398)
გასული არამატ. აქტივების ამორტიზაცია	-	-	-	-
ამორტიზაცია 31.12.2018-სათვის	(139,136)	(7,867)	(4,176)	(151,179)
ნეტო საბალანსო ღირებულება 01.01.2018	21,293	21,869	1,043	44,205
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2018	-	18,764	1,043	19,807

7. მარაგები

მარაგები 2017 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2017	31.12.2018
სამშენებლო მასალები	11,354,909	7,579,385
ნედლეული/მზა პროდუქცია ბეტონის ქარხანაში	911,582	854,883
ნედლეული და მასალები ბაზაზე	608,934	585,994
ნედლეული/მზა პროდუქცია ქვის სამტრეველში	194,884	196,730
ანგარიშ ვალდებულ პირებზე გაცემული საწვავი	54,361	24,719
სულ	13,124,670	9,241,711

8. საკუთარი კაპიტალი

2017 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 132,154,494 ლარს.

2018 წლის განმავლობაში კომპანიის საწესდებო კაპიტალი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, გაზრდილია 61,765 ლარის აქტივებით, ასევე, ინფრასტრუქტურული და სხვა სამუშაოების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხით, 10,000,000 ლარით. კომპანიის საწესდებო კაპიტალი წლის განმავლობაში შემცირებულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანების საფუძველზე ამოღებული არაფინანსური აქტივებით, რომელთა ღირებულებამ შეადგინა 6,278 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 142,209,981 ლარს.

გადაფასების რეზერვი შედგება კომპანიის მიერ 2014 წელს ძირითადი საშუალებების ნაწილის გადაფასების შედეგად წარმოქმნილ ნამეტი თანხისგან, რომლის ნამთივ შეადგენს 1,386,463 ლარს.

9. დაუმთავრებელი წარმოება

დაუმთავრებელი წარმოება 2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს სამშენებლო პროექტებზე გაწეულ ხარჯებს და მთავრობის განკარგულებით რეგულირებული, კომპანიის კაპიტალში შეტანილი სახელმწიფო სახსრების მეშვეობით წარმოებულ მშენებლობებზე/სამუშაოებზე გაწეულ დანახარჯებს:

დასახელება	დასრულების თარიღი	31.12.2017	31.12.2018
ბათუმი სარფი სანაპირო ზოლი	მიმდინარე	24,999,116	25,456,638
ზუგდიდი საავადმყოფო	მიმდინარე	22,768,378	29,895,579
ოზურგეთი-ნატანები-ურეკი კმ9-კმ16 რეაბილიტაცია	მიმდინარე	344,077	-
სტიქია ვანი- სულორი	2016	1,306,642	1,307,250
სტიქია შემოქმედი-2015	2016	863,172	864,153
ბაკურიანი	2015	120,054	120,054
სტიქია შემოქმედი	2015	3,632,896	3,632,896
სტიქია წყნეთი-ახალდაბა	2015	258,824	258,824
სტიქია წყრულეთი	2015	94,729	94,729
ლაზიკა	2014-მდე	3,499,452	3,499,452
ლაზიკა - პირსი	2014-მდე	6,647,126	6,647,126
სულ მიმდინარე პროექტები		48,111,571	55,352,217
სულ დასრულებული პროექტები		16,422,897	16,424,485
სულ		64,534,468	71,776,702

10. გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები

2018 წელს გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ გრძელვადიან აქტივების რეალური და საბალანსო ღირებულების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

დასახელება	31.12.2017	31.12.2018
ისტორიული ღირებულება	3,093,356	1,546,678
დაგროვილი ცვეთა	(1,109,642)	(554,821)
ნარჩენი საბალანსო ღირებულება	1,983,714	991,857
რეალური ღირებულება	(1,534,068)	(827,034)
აღიარებული ზარალი	449,646	224,823

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2017	31.12.2018
სავაჭრო მოთხოვნები	6,740,169	9,733,846
მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე	-	99,553
გადახდილი ავანსები	653,326	873,105
წინასწარგაწეული ხარჯი	2,818,527	363,482
სულ	10,212,022	11,069,986

12. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2017	31.12.2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	301	26
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	17,131,370	1,707,155
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	712	61
სულ	17,132,383	1,707,243

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2017	31.12.2018
სავაჭრო ვალდებულებები	2,618,213	4,468,380
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები ავანსი	22,180,967	2,139,961
საგადასახადო ვალდებულება	1,322,797	
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	424,846	33,434
სულ ვალდებულება	26,546,823	6,641,775

14. ამონაგები

ამონაგები 2017 და 2018 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2017	31.12.2018
შემოსავალი სამშენებლო სამუშაოებიდან	18,611,924	42,702,467
შემოსავალი ბეტონის რეალიზაციიდან	920,283	339,835
შემოსავალი ქვის სამტყრევიდან	43,551	-
სხვა შემოსავალი	166,258	801,844
სულ	19,742,016	43,844,146

15. თვითღირებულება

თვითღირებულება 2017 და 2018 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2017	31.12.2018
სამშენებლო სამუშაოები	21,629,403	46,935,973
ბეტონის წარმოება	1,428,089	579,436
ქვის სამტყრევი	243,411	29,199
სულ	23,300,903	47,544,607

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2017 და 2018 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2017	31.12.2018
ხელფასები და მასთან დაკავშირებული გადასახადები	1,341,767	1,212,474
ცვეთა და ამორტიზაცია	272,290	258,695
ოფისის იჯარა და შენახვა	121,396	81,700
საგადასახადო ხარჯი	136,304	95,212
მივლინების ხარჯი	18,719	651
კომუნალური გადასახადები	18,678	13,470
კომუნიკაციის ხარჯი	22,607	24,511
ბანკის ხარჯი	16,359	10,671
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	61,082	53,492
მანქანების იჯარა	277	-
რემონტის ხარჯი	6,816	8,955
დაზღვევის ხარჯი	6,248	1,703
დაცვის ხარჯი	813	1,475
სხვა ხარჯი	35,775	50,943
სულ	2,059,133	1,813,952

17. საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი 2017 და 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შედგება საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ნაშთებზე დარიცხული პროცენტებისგან:

დასახელება	31.12.2017	31.12.2018
ქართუ ბანკი	87,832	200,917
თი ბი სი" ბანკი	3,203	3,993
საქართველოს ბანკი"	287	117
სულ	91,322	205,027

18. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები

სხვა არასაოპერაციო შემოსავლები 2017 და 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2017	31.12.2018
პირგასამტეხლო	55,839	
უსასყიდლოდ მიღებული აქტივები	42,586	
აღწერიდან შემოსავალი	88,654	84,485
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	146,138	
ტენდერში მონაწილეობის საფასური	33,800	47,250
მოიჯარისგან მიღებული კომუნალური გადასახადი	59,797	
ძირითადი აქტივების შეფასება	171,316	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	38,942	505,438
სულ	637,072	637,173

19. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

სხვა არასაოპერაციო ხარჯი 2017 და 2018 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2017	31.12.2018
სოციალური დახმარების ხარჯი	4,013	-
გაყიდული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება	218,355	-
აღწერიდან დანაკლისი	31,933	64,680
მოიჯარის ნაცვლად გადახდილი კომუნალური გადასახადი	59,797	-
სანქციები და ჯარიმები	87,785	22,470
ტენდერში მონაწილეობის გადასახადი	7,555	5,248
წარმომადგენლობითი ხარჯი	546	294
აქტივების გაუფასურება	449,646	-
არამატერიალური აქტივების ჩამოწერა	63,164	-
დებიტორული დავალიანების ჩამოწერა	177,605	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	101,819	664,636
სულ	1,202,218	757,328

20. მოგების გადასახადის ხარჯი/სარგებელი

კომპანია 2018 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის დეკლარაციას წარადგენს გადასახადის გაანგარიშების ახალი მოდელის(ესტონური მოდელის) შესაბამისი ფორმით. მოგების გადასახადის თანხა გაანგარიშებულია გაწეული ხარჯებიდან, რომელიც არ განეკუთვნება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობას.

დასახელება	31.12.2017	31.12.2018
ინვენტარიზაციის შედეგად აღიარებული დანაკლისი	44,331	64,680
ხარჯი, რომლის გაწევის მიზანი არ არის მოგების მიღება	32,931	7,560
ჯამი	77,262	72,240
15%-იანი განაკვეთი	11,589	10,836

21. ფულადი ნაკადების ანგარიშგება (არაპირდაპირი)

დასახელება	31.12.2017	31.12.2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	5,921,479	(26,003,807)
წმინდა მოგება	(6,074,380)	(6,913,388)
ცვეთა და ამორტიზაცია (+)	272,290	1,537,515
დებიტორული დავალიანების ზრდა (-)	(4,617,996)	(4,605,737)
კრედიტორული დავალიანების ზრდა (+)	23,074,567	(19,905,048)
მარაგების ზრდა (-)	(6,733,002)	3,882,851
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	52,542	578,667
ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების მიღება/გასვლა + -	52,542	578,667
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	10,000,000	10,000,000
ბიზნესში ინვესტირებული ფული +	10,000,000	10,000,000
წმინდა ფულადი სახსრები	15,974,021	(15,425,140)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	1,158,362	17,132,383
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	17,132,383	1,707,243

22. პირობითი ვალდებულებები

კომპანიას ჩვეული საქმიანობის პროცესში საქმე აქვს სასამართლო სარჩელებსა და პრეტენზიებთან. კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ სარჩელებისა და პრეტენზიების შედეგად წარმოშობილ ვალდებულებებზე მაქსიმალური პასუხისმგებლობა არ იქონიებს არსებით გავლენას ფინანსურ მდგომარეობაზე ან კომპანიის მომავალ ოპერაციებზე.

23. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ბიზნესის სხვა სექტორების მსგავსად, კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები.

ძირითადი მიზნები, პოლიტიკები და რისკების განეიტრალების გზები

კომპანიის რისკების მართვა ხორციელდება უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ. უმაღლესი ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, უმაღლესი მენეჯმენტის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების ხელმძღვანელობაზე.

ხელმძღვანელობა ამზადებს ყოველთვიურ ანგარიშებს, რითაც მოწმდება არსებული პროცესების, დასახული მიზნებისა და მიღებული პოლიტიკების მართლზომიერება. ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, აამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს ორგანიზაციის საქმიანობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. საკრედიტო რისკი გამოწვეულია კონტრაგენტისათვის ფულის გასესხებით ან სხვა ტრანზაქციით, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური აქტივის ზრდასთან.

კომპანია დგას ძირითადი საკრედიტო რისკის წინაშე კომერციულ ბანკში განთავსებული ფულადი სახსრების შემთხვევაში. კომპანიის მომსახურე ყველა ბანკი მოიაზრება საქართველოში

მოქმედ უმსხვილეს ბანკებს შორის. ფულისა და ფულის ექვივალენტების გაუფასურებას ადგილი არ ქონია.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში გამოხატული საპროცენტო და სასაქონლო ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებით. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულებას გააჩნია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ შესაძლებელია შეიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე ხშირად ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას არჩეული ვალუტის ფასის ცვლილება. იქიდან გამომდინარე, რომ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მცირეა კომპანიის სავალუტო რისკი მინიმალურია.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

ხელმძღვანელობა აკონროლებს მსგავსი სახის რისკებს ვადიანობის ანალიზის მეშვეობით, რაც განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომდევნო საანგარიშო პერიოდისათვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით,

კომპანია ახორციელებს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესს.

კომპანიის კაპიტალის შესახებ ინფორმაციის ახსნა-განმარტება

კაპიტალის მართვისას უწყვეტი გეგმიური ფუნქციონირების შემთხვევაში კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მეწილეებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად საქონლისა და მომსახურების შეფასებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

ვინაიდან დამფუძნებლის მხრიდან შესაძლო გადაწყვეტილებით შესაძლებელია „უწყვეტობის“ პრინციპის/მოცემულობის ცვლილება, კომპანია კაპიტალის მართვას ანხორციელებს დამფუძნებელთან შეთანხმებით

24. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები, ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24-ის, „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით წარმოადგენს:

ა) მხარეს, რომელიც პირდაპირ, ან ერთი, ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის ა) ან ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმოს, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ა) და ბ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ პიროვნებები;

შესაძლო დაკავშირებული მხარეების განსაზღვრისას, ყურადღება ექცევა საერთო ოპერაციების შინაარსს და არა იურიდიულ ფორმას.

კომპანიის დაკავშირებულ მხარეს წარმოადგენს დამფუძნებლის - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მის განმგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, კომპანია მასთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ახორციელებს ქვეყანაში არსებული საავტომობილო გზების რეაბილიტაციას და რეკონსტრუქციას/მშენებლობას. საავტომობილო გზების დეპარტამენტთან დაკავშირებული ნაშთები და განხორციელებული ტრანზაქციები 2017 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

ა) დაკავშირებულ მხარესთან არსებული ნაშთები:

ნაშთის კატეგორია	31.12.2017	31.12.2018
მოთხოვნები	1,655,963	2,512,804
ვალდებულებები	3,964,770	1,975,020

ბ) დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ტრანზაქციები:

ტრანზაქციის კატეგორია	31.12.2017	31.12.2018
-----------------------	------------	------------

დარიცხული შემოსავალი შესრულებული სამუშაოდან	11,255,628	32,007,554
მიღებული თანხა	15,707,801	34,050,713
გადახდილი თანხა	29,397	-

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიისთვის ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ მაკორექტირებელ მოვლენებს წარმოადგენდა ცვლილებები საკონტრაქტო ამონაგებში, კორექტირებები უკავშირდება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ გაცემულ დასკვნებს 2018 წლის საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ, რის შედეგადაც მოხდა აღნიშნული პერიოდის ამონაგების კორექტირება.

კომპანიის მენეჯმენტი ინტენსიურად მუშაობს დამფუძნებელთან, დამფუძნებლის გადაწყვეტილებების შესაბამისად კომპანიასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმების და პროცედურების განხორციელებაზე.

დამფუძნებლის გადაწყვეტილების შესაბამისად შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეიცვალოს წარმოდგენილი ანგარიშგების მონაცემები რათა მაქსიმალურად შეესაბამებოდეს აღრიცხული მონაცემები საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.

დირექტორის მ.შ.

შ. შავიშვილი

ფინანსური მენეჯერი

გ. ჩოჩია

25 მაისი 2020 წელი



მმართველობითი ანგარიშგება

2018 წლის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“

ქ. თბილისი 2018

შინაარსი

ზოგადი მიმოხილვა	35
მიზანი, განვითარება პერსპექტივები	36
პროდუქციის (მომსახურების) ბაზარი და მარკეტინგული სტრატეგია	36
მართვა და პერსონალი.....	37
ფინანსური ანგარიშგება	37
სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია.....	38
დასკვნა.....	39

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ წარმოადგენს სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოს, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 16 მარტის ბრძანების¹ საფუძველზე. დაფუძნების მომენტისათვის საწარმოს დასახელება იყო შპს „საგზაო ტექნიკა“. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის #978 განკარგულების შესაბამისად კომპანიის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი მართვის უფლებით გადაეცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. 2012 წელს გამოცემული ბრძანების² საფუძველზე კომპანიის სახელი შეიცვალა და ის ოპერირებს როგორც შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“.

ზოგადი მიმოხილვა

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ (ყოფილი შპს „საგზაო ტექნიკა“ ს/კ 205140257) შეიქმნა 2006 წლის 29 მარტს. რეორგანიზაციისა და საწესდებო კაპიტალში ცვლილებების გათვალისწინებით საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის #978 განკარგულების შესაბამისად კომპანიის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილი მართვის უფლებით გადაეცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწესდებო კაპიტალი შეადგენს 142,209,981 ლარს .

საანგარიშო პერიოდისთვის კომპანიას მშენებლობის სფეროში ქვეყანაში ერთ-ერთი ლიდერის პოზიცია უკავია. მას გააჩნია თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საკუთრებაში აქვს სხვადასხვა სახისა და სიმძლავრის თანამედროვე სპეცტექნიკა. დაკომპლექტებულია თეორიულად მომზადებული და დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით.

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის" პროექტების დიდი ნაწილი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, სამთავრობო გადაწყვეტილებებით მიღებული პროექტებია, რომელთა განხორციელება ბევრ საჭირ ბოროტო საკითხთანაა დაკავშირებული. ამ ტიპის პროექტებს შორის, უნდა აღინიშნოს სხვადასხვა სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის, ნაპირსამაგრი და ლოჯისტიკურად რთული (სხვადასხვა მნიშვნელობით - მეტად რთულ რელიეფსა და პირობებში) სამუშაოები, რომლითაც უამრავი ადამიანი სარგებლობს. აგრეთვე შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიამ" არაერთი მასშტაბური პროექტი განახორციელა.

გარდა ამისა, ჩვენი პროექტები მოიცავს მნიშვნელოვან ნაპირსამაგრი სამუშაოებს მდინარე ბჟუჟზე და სარფში, თანამედროვე კლინიკების მშენებლობას რუხსა და დედოფლისწყაროში, თეთნულდის უნიკალური კურორტის მშენებლობას, სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას სოფელ შემოქმედში, ახალდაბასა და წყლულეთში და სხვა.

2017 წლის 2 მარტამდე, სამშენებლო პროექტების შეუფერხებლად განხორციელებისთვის, შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვები

¹ბრძანება #1-1/220

²საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2012 წლის 16 მარტის #16/ობრძანება

ხორციელდებოდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 15 მარტის #121 დადგენილებით დადგენილი სპეციალური წესით, ხოლო შემდეგ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 მარტის #120 დადგენილებით დადგენილი სპეციალური წესით.

2018 წლის პირველ ნახევარში დაიწყო პროცესები, რომლებიც დაკავშირებული იყოს როგორც კომპანიის 100% წილის მართვის ხელშეკრულების შეწყვეტასთან (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შორის) ისე კომპანიის სამომავლო სამოქმედო გეგმების ცვლილებასთან (რაც განსაზღვრული იყო 2018 წლის გეგმით), დაგეგმარება, განსაზღვრასთან და ა.შ.

მიზანი, განვითარება პერსპექტივები

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ მიზანია ნებისმიერი სირთულის პროექტისა და სამშენებლო სამუშაოს მაღალხარისხიანად და უსაფრთხოდ შესრულება, ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ გარემოში, მკაცრად გაწერილ ვადებში, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ ხედვაა შეინარჩუნოს და განავითაროს მოწინავე პოზიციები მის საქმიანობაში, როგორც ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში საიმედო და მაღალი რეპუტაციის მქონე კომპანიამ.

„სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ ღირებულებებია: მაღალი ხარისხი, უსაფრთხოება და გარემოს დაცვა; სამუშაოების გაწერილ ვადებში შესრულება; გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და დისციპლინა; თანამშრომლებისთვის კარგი სამუშაო პირობების შექმნა, ურთიერთპატივისცემისა და ნდობის განმტკიცება.

შპს "სახელმწიფო სამშენებლო კომპანია" ორიენტირებულია ადგილობრივი მრეწველობის განვითარებაზე, შესაბამისად პროექტების განხორციელებისას, ყველა შესაძლო შემთხვევაში, ნედლეულისა და მასალებისთვის ქართულ პროდუქციას იყენებს.

კომპანიის მენეჯმენტის სურვილია და გეგმავს, დასახული მიზნების ეფექტურად განსახორციელებლად და უზრუნველსაყოფად განახორციელოს არსებული ძირითადი საშუალებების (მაგ. მიძიმე სპეც.ტექნიკის (ექსკავატორები და ა.შ.), გადამზიდი ავტო საშუალებები და ა.ს.) ოპტიმალური განახლება და გადახარისხება.

პროდუქციის (მომსახურების) ბაზარი და მარკეტინგული სტრატეგია

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ მიზნობრივ ბაზარს წარმოადგენს ქვეყნის შიგნით სახელმწიფო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა. მომსახურების თვალსაზრისით კომპანიის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საქართველოს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, მოდერნიზაცია-რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა ასევე სხვა გადაუდებელი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება .

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ უპირატესობაა რეპუტაცია და გამოცდილება. გააჩნია თანამედროვე მატერიალ-ტექნიკური ბაზა, დიდი რაოდენობის სხვადასხვა სახისა და

სიძლავრის სპეც საგზაო-სამშენებლო ტექნიკა, აგრეთვე საკუთარი სამშენებლო პროდუქციის საწარმოები.

კომპანია აქტიურად ღებულობს მონაწილეობას საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ გამოცხადებულ ადგილობრივ ტენდერებში. ზრუნავს მატერიალ-ტექნიკური ბაზის განახლებასა და გადაიარაღებაზე.

მართვა და პერსონალი

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ აქვს მმართველობის ფუნქციონალური ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულისგან:

- ადმინისტრაციის სამსახური;
- მთავარი ინჟინერის სამსახური;
- იურიდიული სამსახური;
- შესყიდვების სამსახური;
- ფინანსური ანალიზის სამსახური;
- შრომის უსაფრთხოების და კონტროლის სამსახური.

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“-ში 2018 წლის განმავლობაში დასაქმებულმა პერსონალის რაოდენობამ შეადგინა 1253, აქედან 61 სამტატო, ხოლო 1192 შტატგარეშე თანამშრომელი, მათ შორის 53 ქალი და 1200 კაცი.

ფინანსური ანგარიშგება

„შპს "სახელმწიფო სამშენებლო კომპანია" წარმოადგენს მოგებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციას, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ საანგარიშო წლებში მოგება არ მიუღია. აღნიშნულის ძირითადი მიზეზი არის სხვადასხვა ობიექტური გარემოებები, მოცემულობები, რაც დაკავშირებულია როგორც პროექტების თავისებულებებთან ისე აღრიცხვა/აღიარების მოცემულობებთან/პირობებთან, საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების მეთოდოლოგიურ სხვაობებთან.

შპს "სახელმწიფო სამშენებლო კომპანია" არ სარგებლობს საბანკო კრედიტით. კერძო სუბიექტის მსგავსად, ვერ იყენებს ძირითად საშუალებებს ფინანსური რესურსის მოსაზიდად - ასეთი საჭიროების წარმოქმნის შემთხვევაში.

შპს "სახელმწიფო სამშენებლო კომპანია" ფინანსურ ანგარიშგებას 2016 წლის საანგარიშგებო პერიოდიდან აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს

ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება. სადაც ვერ დადგინდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება არსებულ ბაზარზე დაყრდნობით, ისინი დგინდება შეფასების სხვადასხვა ტექნიკით, რომელიც მოიცავს მათემატიკური მოდელების გამოყენებას. ეს მოდელები აღებულია შესწავლას დაქვემდებარებული ბაზრებიდან, სადაც ეს შესაძლებელია. თუ ისინი არ არის გამოსადეგი, მაშინ რეალური ღირებულების დადგენა ხდება მსჯელობით.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

- ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ოპერაციები და ნაშთები

- უცხოურ ვალუტაში ასახული ოპერაციების გადაყვანა ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ოპერაციის მოხდენის ან აქტივების/ვალდებულებების შეფასების დღისთვის არსებული გასაცვლელი კურსით. ასეთი ოპერაციებიდან, ასევე წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული მუხლების შეფასებიდან წარმოშობილი საკურსო სხვაობებიდან მიღებული მოგება და ზარალის აღიარება ხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ეფექტი აისახება კაპიტალში, როგორც ფულადი ნაკადების და წმინდა ინვესტიციის ჰეჯირება.
- ფულად სახსრებთან და მათ ეკვივალენტებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობის ეფექტის წარდგენა ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში - „მოგება ან ზარალი საკურსო სხვაობებიდან“, სხვა საკურსო სხვაობებთან ერთად.

სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია

კომპანიის შემოსავალმა საოპერაციო საქმიანობიდან 2017 წელს 19,742,016 ლარი, ხოლო 2018 წელს 43,844,146 ლარი

დასკვნა

ამგვარად, არსებული აქტიური კონტრაქტები, სამომავლო გეგმები და მენეჯმენტის ხედვა შეინარჩუნოს და განავითაროს მოწინავე პოზიციები სამშენებლო საქმიანობაში, როგორც ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში საიმედო და მაღალი რეპუტაციის მქონე კომპანიამ, იძლევა იმის გარანტიას, რომ კომპანია გააგრძელებს მუშაობას დაგეგმილი გეგმების შესასრულებლად, რომელიც შეეხება კომპანიის მზარდ განვითარებას და მეტი სოციალური პასუხისმგებლობის აღებას ქვეყნის საერთო ინტერესების გათვალისწინებით.

ამასთან, გასათვალისწინებელია ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიცაა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, როგორც 100%-იანი წილის მართველი სუბიექტის, კომპანიასთან დაკავშირებული სამომავლო ხედვა, მიდგომები და საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული პოლიტიკა. არსებული მონაცემებით დაგეგმილია გარკვეული ცვლილებების განხორციელება. აღნიშნული ფაქტორი კრიტიკულად მნიშვნელოვანია კომპანიის შემდგომი გეგმების შემუშავებისთვის, ექსპლუატაციისთვის. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად კომპანიის მიერ შემუშავდება სამომავლო სამოქმედო გეგმა.

დირექტორის მ.შ.

შ. შავიშვილი

ფინანსური მენეჯერი

გ. ჩოჩია

25 მაისი 2020 წელი

დასკვნა

ამგვარად, არსებული აქტიური კონტრაქტები, სამომავლო გეგმები და მენეჯმენტის ხედვა შეინარჩუნოს და განავითაროს მოწინავე პოზიციები სამშენებლო საქმიანობაში, როგორც ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში საიმედო და მაღალი რეპუტაციის მქონე კომპანიამ, იძლევა იმის გარანტიას, რომ კომპანია გააგრძელებს მუშაობას დაგეგმილი გეგმების შესასრულებლად, რომელიც შეეხება კომპანიის მზარდ განვითარებას და მეტი სოციალური პასუხისმგებლობის აღებას ქვეყნის საერთო ინტერესების გათვალისწინებით.

ამასთან, გასათვალისწინებელია ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიცაა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, როგორც 100%-იანი წილის მართველი სუბიექტის, კომპანიასთან დაკავშირებული სამომავლო ხედვა, მიდგომები და საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული პოლიტიკა. არსებული მონაცემებით დაგეგმილია გარკვეული ცვლილებების განხორციელება. აღნიშნული ფაქტორი კრიტიკულად მნიშვნელოვანია კომპანიის შემდგომი გეგმების შემუშავებისთვის, ექსპლუატაციისთვის. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად კომპანიის მიერ შემუშავდება სამომავლო სამოქმედო გეგმა.

დირექტორის მ.შ.

ფინანსური მენეჯერი

25 მაისი 2020 წელი

